585
1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (93) ივნისი 1959 წელი

7832

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის შესახებ.

3. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ლანჩხუთის, წულუკიძისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოსობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 13 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

5. ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და ქ. ჭიათურის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატებში.

6. ბრძანებულება აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმების შემადგენლობის შესახებ.

7. ბრძანებულება გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ლეონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

8 ბრძანებულება ა. ბ. ნიამანის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

9. მოვალეშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გადიდდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი შვიდიდან ცხრა კაცამდე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის სამი მოადგილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხუთი წევრით.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან ამხ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ცქერეტელი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და არონ ერმალოს-ძე ტაკიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 29 მაისი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 14 თებერვლის ბრძანებულების „სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებისა და სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონების მოქმედებაში შესვლის წესის შესახებ“ მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ შუამდგომლობებს ნასამართლობის მოხსნის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის 7 პუნქტისა და ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ საფუძვლების 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილავენ სახალხო სასამართლოები სასჯელმოხდილი პირების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლიათ საზოგადოებრივ, მათ შორის კოოპერაციულ ორგანიზაციებს, აგრეთვე მშრომელთა საზოგადოებებს და კოლექტივების კრებებს, იმ პირთა შესახებ, რომელთა სასჯელის მოხდის შემდეგ სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცეს თავისი გამოსწორება.

3. სასამართლოს მიერ შუამდგომლობები განიხილება სასამართლოს ღია სხდომაზე მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო საქმის გამოთხოვის გარეშე და დგება სასამართლო სხდომის ოქმი.

სასამართლო ეცნობა საბუთებს, რომლებიც ახასიათებენ იმ მოქალაქის პიროვნებას, მის შრომითს საქმიანობასა და ყოფაქცევას, რომლის შესახებაც იხილება საკითხი ნასამართლობის მოხსნაზე; საჭიროების შემთხვევაში მოისმენს მის განმარტებას, აგრეთვე პროკურორის დასკვნასა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრს. სასამართლოს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გამოითხოვოს განაჩენის ასლი და სხვა საჭირო საბუთები.

4. ნასამართლობის მოხსნის შესახებ საკითხის განხილვისას იმ პირის მონაწილეობა, რომელმაც სასჯელი მოიხადა, ხოლო ორგანიზაციის მიერ შუამდგომლობით აღძრის შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობაც აუცილებელია.

სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის შესახებ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობს პროკურორი. პროკურორის გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის შეჩერებას.

5. სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, როგორც ნასამართლობის მოხსნის, ისე უარის თქმის შესახებ და დადგენილების ასლს მისცემს იმ პირს ვისი საკითხიც იხილებოდა.

6. სასამართლოს დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ საერთო საფუძვლებზე შეიძლება გაპროტესტებულ იქნას ზედამხედველობის წესით.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ნასამართლობის მოხსნაზე უარს ეტყვის, განმეორებით შუამდგომლობა ნასამართლობის მოხსნაზე შეიძლება აღძრულ იქნას უარის თქმიდან არა უადრეს ერთი წლისა.

8. უკეთუ სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი შემცირებულია ან შეცვლილია უფრო რბილი სასჯელით, ნასამართლობის მოხსნის ვადები იანგარიშება ახალი შემცირებული ან უფრო რბილი სასჯელის მიხედვით, ამ სასჯელის ფაქტიურად მოხდის მომენტიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 30 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ლანჩხუთის, წულუკიძისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის, წულუკიძისა და ხობის მშრომელთა დეპუტატების რაიონულსა და სასოფლო საბჭოებში ჩაის ფოთლის კრეფასთან დაკავშირებით საგრძნობლად ამაღლდა ორგმასობრივი მუშაობის დონე, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ოპერატიული ხელმძღვანელობა ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების საქმეში.

რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად დაამტკიცეს ჩაის კრეფის მიმდინარე წლის გეგმები ჩამბარებელთა კატეგორიების მიხედვით და დაიყვანეს იგი თვითეულ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე, რგოლამდე და მკრეფავამდე. ფართოდ გაიშალა აგროტექნიკური პროპაგანდა ჩაის ფოთლის კრეფის წესების შესახებ, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია.

ორგმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლის შედეგად მიმდინარე წელს ორგანიზებულად დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარება. მიმდინარე წლის 10 ივნისისათვის წულუკიძის რაიონში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მაის-ივნისის თვეების გეგმა შესრულებული იქნა 95,7 პროცენტით, ხობის რაიონში — 100 პროცენტით, ხოლო ლანჩხუთის რაიონში 94,3 პროცენტით. კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ამავე რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებს, ბრიგადებსა და რგოლებს.

ჩაის კრეფის ყოველდღიური გეგმების შესრულების საქმეში მოწინავეთა შორის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები. მაგალითად, წულუკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატი, სოფელ ახალბედლიეულის კოლმეურნეობის წევრი თ. ბერიძე გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად ყოველდღიურად 70 კგრ. ჩაის ფოთოლს კრეფს; ლანჩხუთის რაიონის მამათის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ქ. მორჩილაძე გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამის ნაცვლად — 60-65 კილოგრამს. ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ხობის რაიონის რაიონული საბჭოს დეპუტატები ნ. კოდუა, შ. კიწია, ც. ჭილაია, ლანჩხუთის რაიონული საბჭოს დეპუტატები ც. ქანთარია, მ. მალაზონია და სხვები.

ამასთან ერთად, ლანჩხუთის, ხობისა და წულუკიძის რაიონულ და სასოფლო საბჭოებს ჩაის კრეფასთან დაკავშირებით ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებათა გატარების დარგში გააჩნათ ერთგვარი ნაკლოვანებანი.

დაბალია მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს მაორგანიზებელი როლი ჩაის ფოთლის დამზადების მიმდინარე წლის გეგმების შესრულების საქმეში. ისინი იშვიათად იხილავენ ჩაის კრეფისა და ჩაის პლანტაციების დამუშავების საკითხებს, ხოლო ლანჩხუთისა და ხობის რაიონულ საბჭოებს სესიებზე უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩაის მეურნეობის არც ერთი საკითხი არ განუხილავთ.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები, მათ არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწავლიათ ჩაის კრეფის მიმდინარეობის საკითხი და თავიანთი წინადადებები არ შეუტანიათ განსახილველად სესიებზე ან აღმასკომების სხდომებზე.

რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ცოტას მუშაობენ ჩაის მკრეფველთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებისათვის, რის გამოც ჩაის ფოთლის მასიურად შემოსვლის პერიოდში არის სამუშაოს გაცდენის შემთხვევები. ხობის რაონის სოფელ შუა ქვალონის პიაიკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის პირველი, მეორე და მესამე ბრიგადების 56 შრომისუნარიანი მკრეფველიდან 18 მაისს სამუშაო გაცდენია 21 მკრეფველმა. მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ლანჩხუთისა და წულუკიძის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებშიც.

ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საკრონ პირობები ბავშვებიანი ქალების ჩაის კრეფაში მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმისათვის. ამ რაიონებში მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწყობილი არ არის მუდმივი ან დროებითი საბავშვო ბაღები, ხოლო არსებული საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, კვების პროდუქტებითა და ბავშვთა ასაკისათვის შესაფერი სათამაშო-გასართობებით.

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეჩაიეთა კულტურული მომსახურების საქმე. რაიონის კულტურის სახლებთან და სასოფლო კლუბებთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადები და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები იშვიათად მიდიან ჩაის პლანტაციებში მეჩაიეთათვის დასვენების საათებში მხატვრული მომსახურების გასაწევად.

მოუწესრიგებელია ცხელი სადილებით მეჩაიეთა უზრუნველყოფის საქმე. წულუკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამსვლელი სამზარეულოების მოწყობისა და მეჩაიეთა ცხელი სადილებით უზრუნველყოფის შესახებ, ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტწილად იმითაა გამოწვეული, რომ რაიონული და სასოფლო საბჭოები სათანადოდ არ აფასებენ ორგანიზმსობრივი მუშაობის როლს სამეურნეო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ ღონისძიებების გატარებას, რაც სამეურნეო წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთი პირობაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

1. დაავალოს ლანჩხუთის, წულუკიძისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. მ. ვადაჭკორია, მ. აბზიანიძე, ს. ნასარაია):

ა) აამაღლონ ორგანიზმსობრივი მუშაობის დონე სასოფლო-სამეურნეო საქმეებთან დაკავშირებით, მიაღწიონ იმას, რომ ორგანიზაციულ-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სამეურნეო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლასთან;

ბ) გაზარდონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების შესრულების საქმეში, გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის, რეგულარულად შეამოწმონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, აამაღლონ საბჭოების მაორგანიზებელი როლი ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში;

გ) აამაღლონ ჩაის მკრეფავთა შორის ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა და უზრუნველყონ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულება;

დ) განამტკიცონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა, უზრუნველყონ შრომისუნარიან კოლმეურნეთა უკლებლივ ჩაბმა ჩაის ფოთლის კრეფისა და პლანტაციების საზაფხულო დამუშავების საქმეში. ბავშვიან ქალთა ჩაის კრეფაში ჩაბმის მიზნით უზრუნველყონ კოლმეურნეობებში სეზონური საბავშვო დაწესებულებების გახსნა, მათი მომარაგება ინვენტარ-მოწყობილობითა და კვების მაღალხარისხიანი პროდუქტებით;

ე) უზრუნველყონ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციებში მომუშავეთათვის საველე სამზარეულოების მოწყობა ცხელი საჭმლის მისაწოდებლად;

ვ) გაუმჯობესონ ჩაის მკრეფავთა კულტმასობრივი მომსახურება, რეგულარულად მიავლინონ კულტურის სახლებთან და სასოფლო კლუბებთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ჩაის ფართობებში შესვენების საათში კულტურული მომსახურების გასაწევად;

ზ) შემოიღონ პრაქტიკაში მეჩაიეთათვის კითხვა-მასუხის საღამოების მოწყობა, უზრუნველყონ საკითხების შეგროვება და პასუხის გაცემა მათი მუშაობის ადგილებზე — ჩაის ფართობებში. რეგულარულად ჩაუტარონ მათ მოხსენებები და საუბრები ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე, სკკპ XXI ყრილობის დადგენილებებით საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ ამოცანებზე;

თ) ორგანიზებულად წარმართონ საბჭოების მუშაობა ჩაის კრეფისა და პლანტაციების დამუშავების საქმეში, ფართოდ ჩაბმან ამ საქმეში საბჭოების დეპუტატები და მოსახლეობის ფართო აქტივი, მკვეთრად გაუმჯობესონ მუდმივი კომისიების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო საბჭოები რეგულარულად იხილავდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებს, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

2. დაევალოს მეჩაიე რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ეს დადგენილება რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფასთან დაკავშირებით ორგმასობრივი მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 13 აპრილის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 13 აპრილის ბრძანებულებამ „საპასპორტო რეჟიმის ბოროტი განზრახვით დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ გარკვეული როლი შეასრულა საპასპორტო რეჟიმის განმტკიცების საქმეში. ჩატარებული მუშაობის შედეგად რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა საპასპორტო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. გამოვლინებული და ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დასჯილი არიან ის პირნი, რომელნიც ბოროტად არღვევენ საპასპორტო რეჟიმს.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს საპასპორტო რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს. არის ფაქტები, როცა დამნაშავე და პარაზიტული ელემენტები საპასპორტო რეჟიმის ადგილებში ჩაუწერავად ცხოვრობენ; მაგალითად, ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მილიციის განყოფილებების არასაკმაო ოპერატიული მუშაობის შედეგად სახელმწიფო სახსრების მტაცებელი დ. ძნელაძე, რომლის მმართაც საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული, მუშაობდა და ჩაუწერავად ცხოვრობდა ქ. თბილისში 1955 წლიდან 1958 წლამდე. ბანდიტობისათვის გასამართლებული ე. ზარიპეტიანი, რომელსაც არ ქონდა ქ. თბილისში ცხოვრების უფლება და არც ყოფილა ჩაწერილი, 1957 წლიდან 1959 წლის აპრილამდე მუშაობდა თბილისში.

მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ატარებენ მილიციის ორგანოები მოხეტიალე პირების მიმართ, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მათი სამუშაოზე და ინვალიდთა სახლებში მოწყობის საქმე. არადამაკმაყოფილებლად სრულდება კანონი იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან მოხეტიალე ცხოვრებას.

მილიციის ზოგიერთი განყოფილება უსაფუძვლოდ აჭიანურებს პასპორტების გაცემას და მოქალაქეებს უმიზეზოდ ეუბნება უარს ჩაწერაზე.

ასპინძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილებამ მოქ. ბერიძეს და ქალაქ სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილებამ მოქ. ჩიხლაძეს 9 თვის დაგვიანებით მისცეს პასპორტები. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ჯავის, ბოლნისის, წითელწყაროს, ქარელის, ხულოსა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

რიგი საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, უწყებების ხელმძღვანელები არღვევენ საპასპორტო რეჟიმს და სამუშაოზე იღებულნენ უპასპორტო, ჩაუწერავ, ან ვადაგასულ პასპორტების მქონე პირებს. მაგალითად, საპასპორტო რეჟიმის დარღვევით მიიღეს სამუშაოზე პასპორტის არ მქონე და ჩაუწერავი პირები ზუგდიდის რაიონის ნარაზენისა და ხეცურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ცხაკაიას სატყეო მეურნეობაში, ჯავის რაიონის კვაისის სამაღნო სამმართველოში, „მთავარობილმშენის“ რიგ ობიექტებზე. ქ. თბილისის ზოგიერთ სხვა საწარმოსა და დაწესებულებაში და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციისა და პროკურატურის ორგანოები რიგ შემთხვევაში მოქალაქეებს უსაფუძვლოდ აძლევენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან არასწორად უკეთებენ კვალიფიკაციას მათ მიერ ჩადენილ ქმედობებს, არის აგრეთვე შემთხვევები, როცა სასამართლოებსაც არასწორი კვალიფიკაციით გამოაქვთ განაჩენი.

ქ. თბილისის კიროვის, ორჯონიკიძის, ლენინის, 26 კომისრის სახელობის რაიონების სახალხო სასამართლოებში ადგილი ჰქონდა საპასპორტო დებულების გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევებს. განაჩენის გამოტანისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქმეზე დართულ პასპორტებს არ აგზავნიდნენ იმ საპასპორტო მაგიდებში, რომელთა მიერაც იყო ისინი გაცემული.

აღნიშნული და ანალოგიური დარღვევები გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები და მათი მილიციის განყოფილებები საპასპორტო რეჟიმის დამრღვევთა მიმართ არ იღებენ კანონით დაწესებულ ყველა აუცილებელ და საჭირო ღონისძიებას. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო საკმაო კონტროლს და დახმარებას არ უწევს მილიციის ადგილობრივ ორგანოებს. სასამართლოები ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ამ დანაშაულებრივი ქმედობის საქმეებს, ხოლო პროკურატურის ორგანოების ზედამხედველობა ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებასა და განხილვაზე ვერ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

I. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) უზრუნველყონ საპასპორტო რეჟიმის მტკიცედ დაცვა და არ დაუშვან სარეჟიმო ქალაქებში მოქალაქეების უპასპორტოდ და გაფწერავად ცხოვრების შემთხვევები;

ბ) აღკვეთონ მილიციის განყოფილებებში პასპორტების მიღებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და პასუხების გაცემის გაჭიანურების შემთხვევები;

გ) გაადვილონრონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საპასპორტო რეჟიმის საკითხებზე. მიაღწიონ საპასპორტო დებულების მოთხოვნათა განუხრელად შესრულებას;

დ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა პერიოდულად შეამოწმონ საპასპორტო რეჟიმის შესრულების მდგომარეობა რაიონებსა და ქალაქებში, მოისმინონ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე აღნიშნული საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ე) პერიოდულად შეამოწმონ წარმოება-დაწესებულებებში საპასპორტო რეჟიმის დაცვის საკითხი და მიიღონ ზომები იმ საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც არღვევენ საპასპორტო რეჟიმს;

ვ) მიიღონ ზომები მოხეტიალე პირების სამუშაოზე და ინვალიდთა სახლებში მოსაწყობად და იმ პირთა პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან მოხეტიალე ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან კანონმდებლობა საპასპორტო რეჟიმის შესახებ და არ დაუშვან უპასპორტო, ჩაუწერავი და ვადაგასული პასპორტების მქონე პირების სამუშაოზე მიღება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს დაა-ჩქაროს კამანის ინვალიდთა სახლის მშენებლობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გააძლიეროს ხელმძღვანელობა სახალხო სასამართლოების მიერ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა ღიროულ და სწორად განხილვაზე.

5. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა და კონტროლი საქართველოს სს რესპუბლიკაში საპასპორტო რეჟიმის დარღვევებისათვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის ზუსტ და განუხრელ შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 ივნისი.

5. ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და ქ. გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ქალები არიან, კანონები ქალთა შრომის დაცვის შესახებ ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება. ორსული ქალები გამოყენებული არიან მსუბუქ სამუშაოზე, მეძუძური დედები მუშაობენ დღის ცვლაში და სარგებლობენ ბავშვების გამოსაკვებად კანონით მათთვის დაწესებული შესვენებებით; ორსულ ქალებს ეძლევათ შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დამატებითი უხელფასო შვებულებები; საავადმყოფო ფურცლები განაღდებულია სწორად. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მუშა ქალები უზრუნველყოფილი არიან სამუშაო ადგილით სპეციალობის მიხედვით და ა. შ.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შემოწმებულ საწარმოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის დარღვევის და შრომის პირობებისადმი არაგულისხმიერ დამოკიდებულების შემთხვევებს.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში (დირექტორი ამხ. ე. თავაძე) შრომის კანონთა მოთხოვნის წინააღმდეგ მარტოხელა დედას რ. შალიაპინას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსულობის მეხუთე თვეს ღამის ცვლაში ამუშავებდნენ. გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატში (დირექტორი ამხ. ა. ცარციძე) ორსულ ქალს მ. ჯინჭარაძეს, რომელიც ღამის ცვლაში მუშაობდა და მიუხედავად მისი არა ერთი თხოვნისა არ გადაიყვანეს დღის ცვლაში, შეერყა ჯანმრთელობა.

კომბინატების ხელმძღვანელები ზუსტად არ იცავენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომფნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 აგვისტოს დადგენილებას „მოზარდთა შვებულებებისა და შრომის პირობების შესახებ“ და ღამის ცვლაში ამუშავებენ 18 წელს მიუღწეველ მოზარდს.

საკმაო ყურადღება არ ექცევა საწარმოო სანიტარიის ნორმების დაცვას; გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატის რიგ საამქროებში არსებული ვენტილაცია მთლიანად ვერ უზრუნველყოფს ქალთა სამუშაო უბნებზე ჰაერის ნორმალურ მიმოქცევას; სამღებრო საამქროებში არასაკმაო განათებაა; კომბინატის მავნე საამქროებში მომუშავე ქალებს სისტემატურად არ ეძლევათ კუთვნილი რძე, ხოლო რასაც ღებულობენ, ისიც უხარისხოა; უხარისხოა მუშა ქალებზე გაცემული სპეცტანსაცმელიც. საკმარისი რაოდენობით არაა ინდივიდუალური კარადები, რის გამოც მუშა ქალებს ტანსაცმელი საამქროებში უკიდიათ.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახი მოუწყობელია, ჭერი ჩამონგრეულია, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და საკმაოდ არ არის მომარაგებული საჭირო ინვენტარით; მეძუძური ქალებისათვის არ არის გამოყოფილი ბავშვების გამოსაკვები სპეციალური ოთახი. ამავე კომბინატის ბავშვთა ბაგა და სასბავშვო ბაღი ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებებს, საკმარისი რაოდენობით არ აქვთ ინვენტარი, თეთრეული, პირსახოცები და ა. შ. სბავშვო ბაღებსა და ბაგებში ავადმყოფ ბავშვებისათვის არ აქვთ იზოლატორები.

გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატის საერთო საცხოვრებლებში საკმაო რაოდენობით არ არის მაგარი და რბილი ინვენტარი, ცალკეული ოთახები შესაკეთებელია, რიგი სამზარეულო და სამრეცხაო უმოქმედოდაა, საერთო საცხოვრებლებში ადგილი აქვს ლოთობისა და საზოგადოებრივი წესების დარღვევის ფაქტებს.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატების ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველო და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაო ღონისძიებებს არ ატარებენ ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატების დირექტორებს (ამხ. ამხ. ე. თავაძე და ა. ცარციძე) ზუსტად განახორციელონ ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) ზუსტად დაიცვან კანონმდებლობა ორსული ქალებისა და 18 წლის ასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადე მოზარდების მუშაობის პირობების შესახებ და არ დაუშვან ამ კატეგორიის პირების ღამის ცვლაში მუშაობა;

ბ) გადაჭრით გაუმჯობესონ საამქროებში და ქალთა სამუშაო უბნებზე საწარმოო სანიტარიის მდგომარეობა, უზრუნველყონ გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატში ვენტილაციის ნორმალური მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომბინატებში ტექნიკური უსაშიშროების წესების დაცვას;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დახმარება აღმოუჩინოს გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატს ვენტილაციის უახლოეს ხანში წესრიგში მოსაყვანად.

გ) გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატის ხელმძღვანელობამ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მუშა ქალების მომარაგება ხარისხიანი სპეცტანსაცმელით, ხოლო მავნე საამქროებში მომუშავე ქალებისა — რძით;

დ) თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახებისა და მათი დახმარე სათავსოების კეთილმოწყობას, გამოყოს მეძუძურ ქალებისათვის ბავშვთა გამოსაკვები სპეციალური ოთახი და ბავშვთა დაწესებულებებს შეუქმნას პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

2. დაევალოს გორის ბამბეულ-ქსოვილების კომბინატის დირექტორს (ამხ. ა. ცარციძე) სასწრაფო ზომები მიიღოს ქალთა საერთო საცხოვრებლებში სრული წესრიგის და დასვენების ნორმალური პირობების დასამყარებლად; არ დაუშვას ქალთა საერთო საცხოვრებლებში ლოთობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები; უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლების სათანადო მოწყობა, მათი მაგარი და რბილი ინვენტარით მომარაგება, სამშარეულოებისა და სამრეცხაოების შეუფერხებელი მუშაობა.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად განიხილონ წარმოება-დაწესებულებებში ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულების მიმდინარეობა და გაათარონ საჭირო ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას აღმოუჩინონ დახმარება გორის ბამბეულ-ქსოვილების და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატებს მაგარი ინვენტარით, სპეცტანსაცმელით და თეთრეულით მომარაგების საქმეში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს გაათარონ საჭირო ღონისძიებები ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბრძანებულება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმების შემადგენლობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებისა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმები განისაზღვროს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი — სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლოს ორი წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 ივნისი.

7. ბრძანებულება გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ლევუშკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოვდეს გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს-ძე ლევუშკინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბრძანებულება ა. პ. ნეიმანის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

დაბადებიდან ოთხმოცი წლისთავის შესრულებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ალექსანდრე პავლეს-ძე ნეიმანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 5 ივნისი.

9. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 17 ივნისის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით 529 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის.

ქალაქ თბილისიდან	. . . . .	59
ქალაქ ფოთიდან	. . . . .	32
ახალქალაქის რაიონიდან	. . . . .	92
ბოგდანოვკის „	. . . . .	14
გორის „	. . . . .	11
გურჯაანის „	. . . . .	7
დმანისის „	. . . . .	26
ზესტაფონის „	. . . . .	21
ზუგდიდის „	. . . . .	9
თერჯოლის „	. . . . .	7
კასპის „	. . . . .	15
ორჯონიკიძის „	. . . . .	15
ტყიბულის „	. . . . .	12
ქარელის „	. . . . .	12
ყვარლის „	. . . . .	10
ცხაკაიას „	. . . . .	17
წალენჯიხის „	. . . . .	62
წალკის „	. . . . .	21
წულუკიძის „	. . . . .	28
წყალტუბოს „	. . . . .	31
ხობის „	. . . . .	20
ჯავის „	. . . . .	8